

# ენის სწავლების კომპიუტერული მხარდაჭერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

ნომინაცია: გამოყენებითი, პროექტი №104  
პროექტის ხელმძღვანელი: ლიანა ლორთქიფანიძე

თბილისი - 2011

## ენის სწავლების კომპიუტერული მხარდაჭერა მოკლე ანოტაცია

განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს ენის სწავლება წარმოადგენს. უცხო ენების ცოდნის საფუძველზე ყალიბდება და წარმოიშობა საერთაშორისო კონტაქტები კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საერთოდ ნებისმიერ სოციალურ სფეროში. ამ საერთაშორისო ურთიერთობის გარეშე ძნელია, პრაქტიკულად შეუძლებელიცაა, თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში სათანადო ღირსეული ადგილის დაკავება როგორც მთლიანად სახელმწიფოსთვის, ისე მისი ცალკეული წარმომადგენლისთვის.

ამ პირობების დასაკმაყოფილებლად საჭიროა გაუმჯობესდეს ენის სწავლების პროცესი. ენის – ურთულესი და უზარმაზარი ბუნებრივი ინტელექტუალური სისტემის – სრულყოფილი დაუფლება ნებისმიერი სრულფასოვანი კურსის გავლის შედეგად თითქმის შეუძლებელია. მიღებული ცოდნის შემდგომი გამოყენება, როგორც წესი, მოითხოვს დამატებით რეგულარულ დახმარებას, რომელსაც ჩვეულებრივი ლექსიკონი ახორციელებს.

ტექნიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე კომპიუტერის მეშვეობით მრავალი ინტელექტუალური სისტემაა შექმნილი და რეალიზებული. მათ შორის მნიშვნელოვანია კომპიუტერული ენობრივი სისტემები, რომელთა ღრმა თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ენის მოდელირება, ანუ ისეთი ხელოვნური სისტემები, რომლებიც გაიმეორებენ ენობრივი ქცევის ძირითად ასპექტებს: ენის ცოდნას, ცოდნის გამოყენებას გამონათქვამების ანალიზი-სინთეზისთვის და ცოდნის შექმნას. სწორედ ცოდნის შექმნის პრაქტიკულ რეალიზაციაზეა ორიენტირებული წარმოდგენილი სისტემა.

ბუნებრივი ენის მოდელირება ეყრდნობა ლექსიკონს, რომელსაც წამყვანი როლი ეკისრება ენის ათვისებისა და მიღებული ცოდნის გამოყენების პროცესში. ენის სწავლების კომპიუტერული სისტემის აგების ამოსავალ პუნქტად ლექსიკონის კომპიუტერიზაცია გამოვიყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ამოცანის გადასაჭრელად ჩვეულებრივი (“წიგნური”) ლექსიკონები ძალიან ფასეულია, მათ ორი სერიოზული ნაკლი გააჩნიათ: ინფორმაციის ნაკლებობა და “პასიურობა”. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ ლექსიკონში ყოველი სალექსიკონო ერთეული მონიშნულია შესაბამისი პარადიგმის ერთადერთი “საწყისი” სიტყვაფორმით, რომელსაც, როგორც წესი, სრული პარადიგმის ასაწყობად არასაკმარისი მორფოლოგიური ინფორმაცია ახლავს არა მხოლოდ “რიგითი” მომხმარებლისთვის, არამედ სპეციალისტი ლინგვისტისთვისაც. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელადაა შექმნილი გრამატიკული ლექსიკონი, რომლის კომპონენტები პარადიგმის ნებისმიერი ფორმიდან ამოსვლით თითოეული ტექსტური სიტყვაფორმისთვის უზრუნველყოფს მისი შესაბამისი სალექსიკონო ერთეულის მოძებნას. სალექსიკონო ერთეულს თან ახლავს სათანადო მორფოლოგიური ინფორმაცია.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა პროგრამული ინსტრუმენტების პაკეტი, რომელიც მომხმარებელს დაეხმარება განახორციელოს ქართული ენის ანალიზი და სინთეზი როგორც ფორმაწარმოების, ისე სიტყვაწარმოების დონეზე. პროექტის შედეგი – 1. კომპიუტერული პროგრამა სამენოვანი (ინგლისურ-ქართულ-რუსული) ინტერფეისით მნიშვნელოვნად დაეხმარება ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს. 2. მონაცემთა ბაზა, რომელიც ინტეგრირებადია **Microsoft Office**-ის, **“Promt”**-ის, **“ABBY”**-ს, **“Google”**-ის და სხვ. ცნობილი ფირმების რედაქტორებში ქართული ენის კომპონენტის სრული რეალიზაციისთვის.

